



პრეზიდენტ ფონ დერ ლეიენის განცხადება ევროკავშირის გეგმასთან დაკავშირებით: კორონავირუსთან დაკავშირებული კრიზისის დაძლევის გეგმა და სამომავლო ნაბიჯები

ბრიუსელი, 2020 წლის 16 სექტემბერი

STATE OF THE UNION 2020

ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლეიენმა დღეს განაცხადა, რომ ევროკომისია წარუძღვება მდგრად და ტრანსფორმაციულ აღდგენით სამუშაოებს, რითაც ევროპას შეუქმნის გლობალურ პლატფორმას ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და გეოპოლიტიკური პროცესების წარმართვის მიზნით.

ძირითადი ასპექტები

კორონავირუსზე რეაგირება და ევროპაში ჯანმრთელობის დაცვა მომავალში

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ საჭიროა მიმდინარე პროცესებიდან დასკვნების გამოტანა და მიღებული გამოცდილების გათვალისწინება მომავალში ევროპაში ჯანდაცვის კავშირების გასაძლიერებლად, რაც გულისხმობს სამომავლო მიზნებზე ორიენტირებულ და სათანადოდ დაფინანსებულ პროგრამას „ევროკავშირი ჯანმრთელობისათვის“ (EU4Health), ევროპის წამლის სააგენტოსა (European Medicines Agency (EMA) და დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის ევროპული ცენტრის (European Centre for Disease Prevention and Control) გაძლიერებას.

მან მოუწოდა ევროპული BARDA-ს (ბიოსამედიცინო კვლევისა და განვითარების სააგენტოს) შექმნისაკენ, რაც უზრუნველყოფს ევროპის გაძლიერებას ტრანს-სასაზღვრო საფრთხეებზე რეაგირების კუთხით. პრეზიდენტმა მოუწოდა დაგეგმილი კონფერენციის „ევროპის მომავალი“ (Future of Europe) ფარგლებში ევროკავშირისათვის ჯანმრთელობის სფეროში ახალი კომპეტენციების განსაზღვრის მიზნით დებატებისაკენ.

ევროკავშირი, რომელიც გვიცავს

პრეზიდენტმა ფონ დერ ლეიენმა ხაზი გაუსვა ევროპის სოციალური საბაზრო ეკონომიკის გაძლიერებას, ბაზარზე დასაქმებულებისა და მოქმედი ბიზნესების გარე შოკური ფაქტორებისაგან დაცვის მნიშვნელობას. მან გააჟღერა დაპირება მინიმალურ ანაზღაურებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ჩარჩოს დამტკიცების თაობაზე და ხაზგასმით აღნიშნა: „*მინიმალური ანაზღაურების პრინციპი მუშაობს და დროა, რომ მუშაობა იყოს ანაზღაურებული*“.

პრეზიდენტმა გააჟღერა დაპირება, რომ შემუშავებული იქნება ერთიანი ბაზრის გაძლიერებისა და ეკონომიკური და სოციალური კავშირების გაღრმავების სამოქმედო გეგმა, შენგენის ზონის სრულყოფილად ფუნქციონირების აღდგენა, ევროკავშირის საწარმოო სტრატეგიის განახლება და აღნიშნულთან დაკავშირებული შესაბამისი კონკურენტუნარიანობის ჩარჩოს ადაპტირება.

ევროპული მწვანე შეთანხმება - 2030 წლისათვის გაფრქვევების სულ მცირე 55%-ით შემცირება

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ევროკომისიას განზრახული აქვს გაფრქვევების შემცირებასთან დაკავშირებით 2030 წლისათვის დასახული მიზნის 40%-დან 55%-მდე გაზრდა. აღნიშნული უზრუნველყოფს ევროკავშირის მიერ 2050 წლისათვის კლიმატის ნეიტრალობის მიზნის მიღწევასა და

პარიზის შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას. **ნახშირბადის ზღვრული ნორმების კორექტირების მექანიზმის** (Carbon Border Adjustment mechanism) არსებობით ევროპის მაგალითი მისაბაძი გახდება მრავალი ქვეყნისათვის.

მომდევნო მაფხულისათვის კომისია დაასრულებს ევროკავშირის კლიმატთან და ენერჯიასთან დაკავშირებული მთლიანი კანონმდებლობის რედაქტირებას, რათა უზრუნველყოფილი იქნას ამ კანონმდებლობის „55 წლის საჭიროებებზე მორგება“.

პრეზიდენტმა ასევე განაცხადა, რომ 750 მილიარდი ევროს ოდენობის #NextGenerationEU (#მომდევნოთაობისევროკავშირის) ბიუჯეტის 30% “მწვანე ბონდების” საშუალებით იქნება მოძიებული და შეგროვებული, ხოლო 37% დაიხარჯება ევროპული მწვანე შეთანხმების მიზნების განხორციელებაში, რაც მოიცავს ევროპულ „შუქურა“ პროექტებს - წყალბადს, მწვანე მშენებლობას და ელექტროდამუხტვის 1 მილიონ პუნქტს.

მან მოუწოდა „ევროპული ბაუჰაუსის“ შექმნისაკენ, რომელიც წარმოადგენს არქიტექტორების, ინჟინრებისა და დიზაინერების თანაშემოქმედების პლატფორმას ჩვენი დროის არქიტექტურული სტილის შესაქმნელად, რათა მივალწიოთ და გადავაქციოთ ევროპა პირველ კლიმატ-ნეიტრალურ კონტინენტად.

ევროპის ციფრული დეკადა

პრეზიდენტმა ფონ დერ ლეიენმა ხაზი გაუსვა, რომ *„დროა, ევროპა წარუძღვეს ციფრულ გზაზე მიმავალთ, წინააღმდეგ შემთხვევაში მას მოუწევს სხვების მიერ ვაკვალულ გზებზე სიარული.“* მან მოუწოდა ციფრული ევროპისათვის ერთიანი გეგმის შემუშავებისაკენ, სადაც ნათლად იქნება განსაზღვრული 2030 წლის მიზნები, როგორცაა დაკავშირების, უნარებისა და ციფრული საჯარო მომსახურებების გაძლიერება. მან ასევე განაცხადა, რომ მომდევნო თაობის ევროკავშირის ბიუჯეტის 20% ციფრულ საკითხებზე იქნება მიმართული.

ევროპის სასიცოცხლო მნიშვნელობა არასტაბილურ სამყაროში

პრეზიდენტმა მოუწოდა მრავალმხრივი სისტემების რევიტალიზაციისა და რეფორმირებისაკენ, მათ შორის გაერთიანებული ერების, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ჩათვლით. მან განაცხადა, რომ ევროკომისია წარმოადგენს მაგნიტსკის აქტის ევროპულ მექანიზმს და მოუწოდა წევრ ქვეყნებს ერთიანი მხარდაჭერისკენ გარე ურთიერთობების საკითხებში *„სულ მცირე ადამიანის უფლებებისა და სანქციების განხორციელების კუთხით“*.

„ძველ მეგობრებთან ახალ წამოწყებებზე“ გადასვლასთან დაკავშირებით პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ევროპა მზად არის, შეიმუშაოს ახალი ტრანსატლანტიკური დღის წესრიგი შეერთებულ შტატებთან ერთად და მიაღწიოს შეთანხმებას გაერთიანებულ სამეფოსთან იმ პირობით, რომ ის შეასრულებს გასვლის შესახებ შეთანხმებას, რაც წარმოადგენს *„კანონმდებლობის, ნდობისა და კეთილსინდისიერების“* საკითხს, რომელსაც *„ჩვენ არასდროს გადავუხვევთ“*.

პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა დასავლეთ ბალკანეთის ეკონომიკური აღდგენის პაკეტსა და აფრიკასთან ევროპის ურთიერთობების მნიშვნელობას: *„არა მხოლოდ მეგობრები... არამედ ბუნებრივი პარტნიორები“*.

პრეზიდენტმა **ფონ დერ ლეიენმა** მოუწოდა ეთიკური, ადამიანის უფლებებთან და გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული *„გადამწყვეტი შეთანხმებების მისაღწევად ევროპის დიპლომატიური სიძლიერისა და ეკონომიკური მექანიზმების“* გამოყენებისაკენ. მან ნათლად განაცხადა, რომ ევროკავშირს სურს **ციფრული დაბეგვრის** შესახებ გლობალური შეთანხმების მიღწევა, თუმცა ევროკავშირი ამ გზაზე მარტოც ივლის, თუ ამის მიღწევა სხვაგვარად შეუძლებელია: *„მე მინდა, ევროპა იყოს სამართლიანობის გლობალური ადვოკატი“*.

ახალი პაქტი მიგრაციის შესახებ

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მომდევნო კვირას კომისია წარმოადგენს მიგრაციის შესახებ ახალ პაქტს, რომელიც ეფუძნება ჰუმანურობისა და სოლიდარობის მიდგომებს და „ნათლად გამიჯნავს ერთმანეთისაგან მათ, ვისაც დარჩენის უფლება აქვს და მათ, ვისაც ეს უფლება არ გააჩნია“. მან გააჟღერა დაპირება, რომ კომისია „გამოიჩინოს ინიციატივას და აიღებს პასუხისმგებლობას“ და დაკავდება მორიას ხანძრის შედეგებზე რეაგირებით, მაგრამ: „თუ ჩვენ გამოვიჩინებთ ინიციატივას, ამავ ენიციატივას მოველით წვერი სახელმწიფოებისგანაც... მიგრაცია წარმოადგენს გამოწვევას ევროპისათვის და ამ საკითხის მოგვარებაში წვლილი მთლიანად ევროპამ უნდა შეიტანოს“.

კანონის უზენაესობა

პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ სექტემბრის ბოლომდე კომისია წარადგენს პირველ წლიურ ანგარიშს კანონის უზენაესობის შესახებ, რომელიც ყველა წევრ სახელმწიფოს მოიცავს. პრეზიდენტმა **ფონ დერ ლეიენმა** მოუწოდა, უზრუნველყოფილი იქნას ევროკავშირის ფინანსების კანონიერად განკარგვა და ხარჯვა.

ანტირასიზმი და სიძულვილის საფუძველზე ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულებსა და დისკრიმინაციაზე რეაგირება

პრეზიდენტმა **ფონ დერ ლეიენმა** განაცხადა, რომ კომისია წარმოადგენს ევროპის ანტირასისტულ სამოქმედო გეგმას, გააძლიერებს რასობრივ თანასწორობასთან დაკავშირებულ კანონმდებლობას და ევროკავშირის დონეზე სისხლის სამართლის დანაშაულთა ნუსხას გააფართოვებს და მასში შეიტანს სიძულვილის საფუძველზე ჩადენილ სისხლის სამართლის დანაშაულებსა და სიძულვილის ენას იმისდა მიუხედავად, იქნება ეს რასობრივ, რელიგიურ, გენდერულ, თუ სექსუალურ ნიადაგზე. პირველად მისი არსებობის ისტორიაში კომისია ასევე დანიშნავს ანტირასისტული საკითხების კოორდინატორს. იგი შეიმუშავებს სტრატეგიას LGBTIQ უფლებების გასაძლიერებლად და მოახდენს ევროკავშირში ოჯახური ურთიერთობების აღიარების ლობირებას.

განზრახვის წერილი

პრეზიდენტ ფონ დერ ლეიენის მიმართვას თან ერთვის ევროპარლამენტის პრეზიდენტის დავიდ სასოლისა და საბჭოს როტაციული პრეზიდენტის პოსტზე მყოფი გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის მისამართით შედგენილი **‘წერილი განზრახვის შესახებ’**. წერილში განსაზღვრულია იმ ინიციატივების სია, რომლებსაც ევროკომისია მომდევნო წლის განმავლობაში განახორციელებს მიმართვაში განსაზღვრული მიზნების მისაღწევად. აღნიშნული მიმართვა უკვე არსებობს **ინგლისურ**, **ფრანგულ** და **გერმანულ** ენებზე და მოკლე დროში ხელმისაწვდომი გახდება ევროკავშირის ყველა ენაზე.

მეტი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია **სპეციალურ ვებგვერდზე**, და **ფაქტობრივი მონაცემების დოკუმენტში**, სადაც შეჯამებულია ევროკავშირის 2020 წლის მიმართვით განსაზღვრული ძირითადი ინიციატივები.

მეტი ინფორმაცია, თუ როგორ შესრულდა კომისიის მიერ აღებული ვალდებულებები ფონ დერ ლეიენის ხელმძღვანელობის პირველ წელს, იხილეთ **აქ**.

IP/20/1657

პრესასთან საკონტაქტო პირი:

ერიკ მამერი (+32 2 299 40 73)

დანა სპინანტი (+32 2 299 01 50)

ზოგადი საჭარო ინფორმაციისათვის: **პირდაპირ ევროპიდან** ტელეფონით 00 800 67 89 10 11 ან **ელ. ფოსტის** საშუალებით